საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი ივნისი 3
1921 წ.
ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

## დაკარგულია

დაკარგულია გრიგოლი (გრიშა) პეტრეს ძე კეკელია. ერთი წელიწადი სრულდება რაც სამუშაოდ წავიდა და არავითარი ცნობა არა გვაქვს და თუ ვინმე რამე იცით შეგვატყობინეთ. მისამართი მუხრანის ქ. № 7 ალექსანდრე ლაზიაშვილს. 1075.

---

მასწავლებელი ტარასი გრიგოლის ძე, მეუღლე მისი სოფიო მიხეილის ასული, შვილები მაშიკო და თამარ ტარასის ასულნი, გიორგი, დათიკო და ირაკლი ტარასის ძენი და რძალი თამარ გიორგის ასული რცხილაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ სიძის, რკინის გზის მე-2 უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგის

### ნიკო წუწუნავას

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში (ანდრეევის ქუჩა), დაკრძალვა პარასკევს თიბათვის 3-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება სამლოცველოდან იმავ დღეს, პარასკევს, დილის 8 საათზე. 1079.

---

მეუღლე ანა ტარასი რცხილაძის ასული წუწუნავასი პატარა შვილებით თინათი და ნათელათი, მამა მაქსიმე, ძმები გიორგი, ანტონ და იასონ ცოლ-შვილებით, დები ლასიან ლოლონტიასა და ტერეზი კეჭელმაზისა ქმარ-შვილებით. განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ, რომ მაისის 31 ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის მეტად ძვირფასი რკინის გზის მეორე უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგე

### ნიკო მაქსიმეს ძე წუწუნავა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე რკ. გზ. საავადმყოფოს სამლოცველოში დაკრძალვა პარასკევს 3 თიბათვეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება რკ გზის სამლოცველოდან იმავ დღეს დილის 8 საათზე. 1079

---

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ტფილისის საქალაქო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს გარდაცვალებას

### ამხ. ნიკო წუწუნავას

ცხედრის დაკრძალვა მოხდება დღეს.

---

ტფილისის რკინის გზის სასწავლებლების მასწავლებელნი აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს ტფილისის რკინის გზის უმაღ. დაწყებით სასწავლებლის ინსპექტორის

### ნიკო წუწუნავას

გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიიდან ივნისის 3-ს დილის 9 საათზედ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 1085

---

გულდამწვარნი მშობლები: სევერიანე პეტრეს ძე და ოლია დავითის ასული, ძმა ალიკო და ბებია ანეტა კაკაბაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ივნისის 5 ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ძვირფას და დაუვიწყარ

### ბიჭი სევერიანეს ძე კაკაბაძის

სულის მოსახსენებლად. 1077

---

საქართველოს რკინის გზის პირველი სამეხანიკო უბნის ვაგონების დამთვალიერებელნი და გამცილებელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ძვირფასი ამხანაგის

### ფილიპე მასიკოს ძე ანდღულაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, ივნისის 4-ს ნაშუადღევის ხუთ საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1087

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეფდოსი დიმიტრის ასული ანდღულაძისა, შვილები გრიგოლი და ვასილი, დები ბაბინე კუჭუხიძისა, ელისაბედ ჭელიძისა და სიძეები ვასილ გლახუნის ძე კუჭუხიძე და კონსტანტინე გიორგის ძე ჭელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

### ფილიპე მასიკოს ძე ანდღულაძე.

გამოსვენება შაბათს, ივნისის 4-ს რკინის გზის საავადმყოფოდან, ნაშუადღევის ხუთ საათზე; დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1087

---

## ფურცლები

33.

**ანტანტა და ანატოლია.**

მეტად საყურადღებო ამბები ხდება წინა აზიაში, მახლობელ აღმოსავლეთში. ხდება რაც უნდა მოხდეს, მოხდება ხვალ, ზეგ. სწორად გაგებული ისტორიული მოვლენები, ანატოლიის ამბები ანატოლიის დღევანდელი ამბები მხოლოდ ერთს ჩვეულებრივს და სრულიად ბუნებრივ ფურცლებს უმატებენ თანამედროვე დიდ საკაცობრიო ბრძოლას.

რა ამბავია ანატოლიაში, რას აკეთებს ანტანტა?

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, თანამედროვე ძირითადი საკითხები, როგორც იმპერიალიზმის მიერ წამოყენებული, ისე რევოლუციით დასმული სრულიადაც არ არის გადაჭრილი, მტკივნეული პროცესი თანდათან ვითარდება, ღრმავდება და ჩვენ გაცილებით მძიმე, უფრო მეტ გაჭირვების და ქარიშხალის წინაშე ვდგევართ, ვიდრე დღემდე გვინახავს, გამოგვივლია თუ გაგვიგონია.

თანამედროვე მომენტის ერთი კვანძი, საიდანაც უნდა გზა გაეხსნას ან იმპერიალიზმს, ან სოციალიზმს—აზიაშია. აზიის ბედთან მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტანტის უმთავრესი გმირი—ინგლისი და აზიის ამბები უმთავრესი ამბებია ევროპისა და კაცობრიობისათვის. ხან გამოშვებით ისტორიის ფორტუნა რუსს გაუცინებს, ხან იგი საამსაც შეეხება, საქსონიასაც, წაგვიყვანს ხან ერთს კონფერენციაზე, ხან მეორეზე. აქ სოციალიზმის კრებულს მოგვაჩვენებს, იქ კიდევ ვივიანის და ჯორჯის აგენტებს, მაგრამ ყველა ეს პატარა ეპიზოდებია იმ ისტორიული დრამისა, რომლის სიღრმის გადაშლა ჩვენს ახლოს არის, წინა-აზიაში. ამიტომაც არის დახელოვნებულ მეომართა რაზმები და დიპლომატების მთელი ყურადღება აზიის ეხლანდელ ცენტრის—სტამბოლის მიმართულებით გაქცენთილი და ამიტომვეა, რომ თუ ევროპაში ნოტათა გაცვლა-გამოცვლაა აქ კი სისხლის ღვრა და ზარბაზნების ქუხილია იმავე ორი თანამედროვე ძალის აგენტებს—ქემალისა და საბერძნეთს შორის.

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, ქემალმა გასრისა საბერძნეთის ჯარი და მისი შეტევითი პოლიტიკა დაამარცხა. საბერძნეთის შეტევა იცვლებოდა ქემალის შეტევით რახაც ასე მოუთმენლად მთელის ოსმალეთის ნაციონალისტურად გაქცენთილი ხალხი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ევროპიულ ოსმალეთის სადავეები ფაქტიურად ანტანტას უპყრავს და ანტანტას ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია, რომ ქემალი ტრიუმფით შემოვიდეს აია სოფიის დიდს ეზოში.

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი მიმართულებით ქემალმა თავისი მისია შეასრულა. სახელმწიფოებრივი საზღვარი ფორმალურად და ფაქტიურად გადაწყვეტილია, როგორც საქართველო-ანგორას, შორის, ისე სომხეთ-ანგორას ხაზით. ქემალის მთელი მუშაობა ამჟამად არსებითად მიმართულია მთელი ოსმალეთის გაერთიანებისაკენ და მიმართულება მხოლოდ ერთს ნიშნავს—სტამბოლისაკენ წასვლას, ეხლანდელი მომენტი. ამიტომ არის ქემალის მოძრაობა სტამბოლისაკენ, ხოლო ანტანტისა—ქემალის შეჩერება სტამბოლისაკენ მოძრაობაში. ამ ხაზით ანტანტამ ჯერ საბერძნეთი გამოიყვანა, მაგრამ იგი დამარცხდა, დღეს კი თვითონ გამოდის და აცხადებს ანატოლიის ცენტრების ოკუპაციას, რაიცა წინამორბედია ქემალის ძალის შეტაკებისა ანტანტის ძალებთან. ასეთია მდგომარეობა, ასეთია მომენტი. ეს შეტაკება უეჭველად გაიზრდება, დიდი პროცესია იგი და აქ ბრძოლის გაშლა თან გამოიწვევს ანტანტის მთელი კოალიციის ამოძრავებას, ისევე ქემალის მთელი კოალიციის ამოძრავებას.

რა ხასიათი აქვს ამ დიდ ბრძოლას? —ეს ბრძოლა ინგლისის მხრივ დამპყრობი და იმპერიალისტურია, ხოლო ქემალის მხრივ განმათავისუფლებელი და რევოლუციური. ანტანტის მხარს უმაგრებს მხოლოდ ფორმალური ხელშეკრულებები საეჭვოდ განწყობილ მოკავშირეებისა, ხოლო ქემალის მიზანი მთელი საბჭოთა რუსეთის მიზანია რუსეთთან ერთად. ამიტომ ანტანტას მთელი შემოქმედება ავანტიურაა, ძალადობაა, ხელოვნურია, ქემალის მოძრაობა ბუნებრივია, ალმაცერია, სახალხო სტიქიაა.

რანაირი მძიმე ფორმებშიაც არ უნდა ჩამოისახოს ეს ბრძოლა—იგი კამპანია უეჭველად წაგებულია ანტანტისათვის.

რაშია საქმე? რად არის ჩვენი რწმენა ესოდენ მტკიცე და გადაჭრილი? ერთი ყურადსაღები დებულება გვაქვს: ანტანტის გამარჯვება მოასწავებს მთელი აზიის მონობის მდგომარეობაში დატოვებას და ეს მომენტი უკვე წარსულია აზიის ხალხებისათვის. ძველი მდგომარეობის შენახვა შეუძლებელია აზიაში.

მაგრამ ჩვენ მეორე, კიდევ უფრო სერიოზულს და რთულს მხარეს მივაქცევთ ყურადღებას. რას აკეთებს აზიაში ინგლისი? რა ინტერესებია აქ ჩაქსოვილი და რას იწვევს იგი ინტერესები?

საზოგადოებამ იცის იმის შედეგები ინგლისისათვის. ძმობა-ერთობის და ხალხთა ლიგის ჰუმანიური პრინციპების ქადაგებაში ინგლისმა ოსმალეთს ჩამოაშორა ეგვიპტე 350 ათას ოთხკუთხ მილის ტერიტორიით, ამავე დროს გერმანიას ჩამოართვა ამაზე დიდი ტერიტორია აფრიკაში, აიღო მანდატი მთელი მესოპოტამიის, მიისაკუთრა კიპრი გერმანული გვინეა, პალესტინა, ტუგო, კამერუნი და სხ. ეს ტერიტორიალური დაპყრობა მსოფლიოს ყველა მიმართულებით, რასაკვირველია, ყოვლად მიუღებელია არა მარტო ამ ტერიტორიების ხალხებისათვის, არამედ ეს პირდაპირ მიუღებელია ამერიკისათვის. დღეს სამარის პირთან მდგარ ინგლისს სამი ძალა უდგია თავზე: რევოლუცია, ერები და ამერიკა. რევოლუცია და თავისუფლებას მოწყურებული ერები მეტად უმწეო მდგომარეობას უქმნიან ინგლისს კერძოდ, ანტანტას საერთოდ. თქვენ იცით ამერიკის ძალდაუტანებლივ სპარსეთიდან ინგლისი გაძევებულია, ხოლო მისი ჯარის ნაწილები გაყვანილია მესოპოტამიიდანაც; ამავე დროს ეგვიპტეში დიდი ნაციონალური მოძრაობაა და ინგლისი იძულებულია ეგვიპტეზე ხელი აიღოს. რას აკეთებს ამ დროს ამერიკა? მესოპოტამიის მანდატი ინგლისმა მიიღო მხოლოდ იმ შესწორებით, რომ ამერიკელ მენავთეებს, მკვლევართ და მრეწველთ თავისუფლად შეეძლებოდა მესოპოტამიაში თარეში, ხოლო ამერიკამ სრულიად ალაგმა ინგლისის პოლიტიკის თარეში აღმოსავლეთში და ინგლისის საიდუმლო მოძმეს—იაპონიას ნებას არ აძლევს ციმბირისა და მანჯურიის ხაზით რაიმე კომპენსაცია მიიღოს ანტანტის მეგობრობისათვის.

კატეგორიულად შეიძლება ითქვას: ინგლისის პოლიტიკას მსვლელობას აზიაში გასაქანს არ აძლევს ამერიკა, რომელიც დღეს გერმანიასაც კომპლიმენტებს უძღვნის და საფრანგეთსაც, რომელთაც ინგლისის ხასიათის ინტერესები არ აქვთ აზიაში. მეტის მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ისიც, რომ ამერიკის [illegible] სეირნობენ კომუნისტების კომისრებთან რუსეთში და რუსეთის საგარეო ვაჭრობის 80 პროცენტი დღეს ამერიკის ხელშია.

აი ეს დიდი, მეტად რთული ისტორიული მომენტი სწყვეტს აზიაში ინგლისის ბედს. დღეს ინგლისის წინაამდეგ აზიაში მოქმედებს არა მარტო ქემალი და ბოლშევიკების ძალა, არა, არა, ამათზე მეტი მნიშვნელობა აქვს ამერიკის დინჯს, მაგრამ ქედუხრელს ანტი ინგლისურ პოლიტიკას.

რასაკვირველია, ამერიკის მიზნები სხვაა, ვიდრე ქემალისა და ბოლშევიკების, მაგრამ ჯერ ერთი უნივერსალი მიზანი აქვთ ამ სამ ძალას—ინგლისის ალაგმვა. ოცნებაა იმის ფიქრი, რომ ინგლისი შესძლებს ამერიკის, ქემალის და რუსეთის დამსხვრევას. ფინანსიურად გაკოტრებული, პრეწველობით დაფუძნებული და სურსათის მხრივ დამშეული ინგლისი ისევ [illegible] ეხლანდელს ბატონ— ამერიკას შეუძრევს ვიტამია, ბრმა ინსტინქტი, ან ოდესღაც არსებული ინგლისის ძლიერება მისცემს გულუბრყვილო ადამიანს იმის იმედს, რომ ინგლისი შესძლებს აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკის გამარჯვებით დამთავრებას.

თედო ღლონტი.

---

## † ნ. წუწუნავა

კიდევ ერთი პატიოსანი მუშაკი გამოაკლდა ქართველ მასწავლებელთა ისედაც მცირე რიცხოვან რაზმს. ა. წ. მაისის 31-ს ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. ნიკო წუწუნავა. განსვენებული მეტად უწყინარი, ჩუმი და უანგარო მოღვაწე იყო. ის ერთგულად ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს და მისი ასე უდროოდ დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენი სკოლისათვის.

ნიკო წუწუნავას კარგად იცნობს ქიათურის საზოგადოება, სადაც ის მასწავლებლობდა ამ სამ-ოთხი წლის წინად და საპატიო ადგილიც ეჭირა იქაურ კულტურულ ძალებში. ამხ. ნიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი წევრი იყო წ.-კ. საზოგ. ჭიათურის განყოფილების გამგეობის, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის, დრამატიული საზოგადოების გამგეობის და სოც.-ფედერალისტთა პარტიის კომიტეტის. ყველა ამ ორგანიზაციებში ის თვალსაჩინო როლს თამაშობდა და ფიზიკურად სუსტი ადამიანი არ ერიდებოდა ზედმეტ შრომას საზოგადო საქმის წინ წასაწევად, წვრილი ცოლშვილით დატვირთული სახალხო მასწავლებელი თავის მცირე ჯამაგირით ახერხებდა ამდენი დრო შეეწირა საზოგადო საქმეებისათვის და ამავე დროს თავის პირდაპირ მოვალეობასაც, მასწავლებლობას, ის ზედმიწევნით პირნათლად ასრულებდა. ამისათვის კიდევაც უყვარდათ მოწაფეებს და ამხანაგებს.

სულ რამოდენიმე თვის წინად ის აირჩიეს ტფილისის რკინის გზის მაღალდაწყებით სასწავლებლის გამგედ, მაგრამ სამწუხაროდ აღარ დასცალდა თავისი ცოდნა, გამოცდილება და მუყაითობა მოეხმარებინა ამ სასწავლებლისათვის. ის უდროოთ გამოესალმა წუთისოფელს, რაც ყველაზედ უფრო გულსაკლავია მისი მოწაფეებისა და ამხანაგებისათვის.

მაგრამ რა მდგომარეობაში ჩაცვივდენ მისი ორი პატარა ქალი და საყვარელი ცოლი?.. სიტყვა აღარ მომეპოვება იმათ სანუგეშოთ გარდა იმისა, რომ ამხ. ნიკოს პატიოსანი სახელი და ხსოვნა დიდ ხანს დარჩება ჩვენ შორის.

პ. ჭანიშვილი.

## პარტიაში

**პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად ამხანაგებმა წინასწარ უნდა შეიძინონ დასასწრები ბარათი ცენტრალურ ბიუროში ვ. პაატაშვილთან. ყოველ დღე საღ. 6—10 საათამდის.**

—

**რკინისგზელთა კრება.** ივნისის 3 დანიშნულია რკინის გზელ სოციალისტ-ფედერალისტთა საზოგადო კრება, განსახილველია საკითხები: მოხსენება მომენტზე, დელეგატის არჩევა პარტიულ კონფერენციისათვის და მიმდინარე საკითხები. დასწრება სავალდებულოა. დასაწყისი საღ. 6 საათზე.

კრება შესდგება გზათა სამმართველოში.

გამგეობის პრეზიდიუმი.

—

ტრამვაის პარკში დღეს შესდგება კრება სოც.-ფედ. პარტიის წევრთა მოსამსახურეთა დელეგატის ასარჩევად პარტიულ კონფერენციისთვის.

—

დღეს, პარასკევს ივნისის 3 იუსტიციის სახალხო კომისარიატში (სასამართლოს ქ. № 32) საღამოს 7 საათზე დანიშნულია სახელმწიფო მოსამსახურეთა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიული კრება. ყველა ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ, ასარჩევია კონფერენციის დელეგატი.

—

დღეს, საღამოს 6 საათზე, ჩუღურეთში, რეალურის სასწავლებლის შენობაში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის წევრთა კრება. ასარჩევია საკონფერენციო დელეგატები. დასწრება სავალდებულოა.

—

**ქალთა ორგანიზაციის კრება.** პარასკევს ივნისის 3 პარტიულ ბიუროს ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია ქალთა ორგანიზაციის საერთო კრება პარტიულ კონფერენციის დელეგატების ასარჩევად—6 საათზე.

—

ბაზრის, ამაღლების და ხარფუხის რაიონში მცხოვრებ პარტიულ ამხანაგების საზოგადო კრება შესდგება შაბათს 4 თიბათვეს საღ. 6 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროში საკონფერენციო დელეგატის ასარჩევად.

## ახალი ამბები

— **ქართველ ხელოვანთა საერთო კრება.** კვირას, ივნისის 5 დილის 11 საათზე დანიშნულია საქართველოს ხელოვანთა საერთო კრების გაგრძელება დღის წესრიგი: 1. კავშირის წესდების დამტკიცება.

— **„სამკაულები“** პარასკევს ივნისის 3, ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) მწერლის ლეო ქიაჩელის მიერ წაკითხულ იქნება ახალი დრამატიული ნაწარმოები—„სამკაულები“—თხუზულება სამ სურათად. დაესწრებიან ხელოვანთა კავშირის წევრები და მოწვეული სტუმრები. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— **მიწების მორწყვა.** სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტმა მოიწონა მუშაობის გეგმა გორის მაზრის მიწების მორწყვის შესახებ. ამ საქმის შესრულება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. დადგენილია გადებული იქმნას საჭირო კრედიტი.

— **სახ. მომარაგების საბჭოში.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული მომარაგების საბჭო აუწყებს, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და აგრეთვე კერძო პირთ, რომ მასალის გაცემა ივნისის 3-დის შეჩერებულია, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სათბობი მასალა, საქონლის გაცემა შეჩერებულია აგრეთვე ძველ შესრულებულ ორდერებითაც.

— **ტანსაცმელით მომარაგება მუშებისათვის.** საქართველოს პროფ-კავშირთა საბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ შეატყობინა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ არც პროფესიონალური საბჭოს პრეზიდიუმი და არც მისი ეკონომიური განყოფილება კერძო პიროვნებათ არ აძლევენ ტანსაცმელს. მის მიზანს შეადგენს, მხოლოდ დასახულ გეგმით მუშებისათვის მომარაგება.

— **შინაგან საქმეთა კომისარიატში.** ვინაიდან შინაგან საქმეთა კომისარიატში აუარებელი საჩივრებია შემოსული სურამის და ხაშურის რაიონებიდან ადგილობრივ რევკომებისა და ადმინისტრატიულ თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებაზე, შინაგან საქმეთა კომისარიატი გზავნის ხსენებულ რაიონებში საგანგებო კომისიას. კომისიაში შედიან—ორი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა კომისარიატის და ერთი კომპარტიის ცეკასი. მას მინდობილი აქვს სასტიკი გამოძიების მოხდენა ადგილობრივად, შინაგან საქმეთა კომ. უწყების ადგილობრივ დაწესებულებათა რევიზია საჭიროების მიხედვით, აგრეთვე დატუსაღება და თანამდებობიდან გადაყენება დამნაშავე პირთა. ასეთივე მიზნით ამ დღეებში მიემგზავრება საგანგებო კომისია ახალციხის მაზრაში და აბასთუმანში.

— **საკურორტო გზის გაყვანა.** კურორტ წყალტუბოზე ავადმყოფების გადასაყვანად ქუთაისსა და წყალტუბოს შუა გზის გაყვანისათვის სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი შეუდგა ყველა იმ მასალის შესწავლას, რომელიც კი შეეხება ხსენებულ გზის გაყვანას.

## რადიო

**დამოკიდებულება პოლონეთთან.**

**ხარკოვი.** „ხარკოვის კომუნისტი“ პოლონეთის მთავრობის უკანასკნელ ნოტის საპასუხოთ სწერს: პოლონეთის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი დამტკიცებულია. უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულების ასრულების საშუალება, რომელიც შეითვისა პოლონეთის მთავრობამ ზავის შეკვრის შემდეგ, იწვევს ჩვენში ძლიერ სერიოზულ ხიფათის ფიქრებს.

**რუსეთ-გერმანიის შეთანხმება.**

**ნაუენი.** რუსეთსა და გერმანიის შორის დადებულია შეთანხმება ორივე დელეგაციის მოქმედების სფეროს გასაფართოვებლად და ამას გარდა დამატებით შეთანხმება რუსეთის და გერმანიის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნში“ იუწყება, რომ პირველი შეთანხმების ძალით ორივე მხარე ვალდებულია თავი შეიკავოს იმ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია—პროპაგანდისაგან რომლის სახელმწიფოებიც იმყოფებიან. შეთანხმება აწესრიგებს სავაჭრო ურთიერთობას ორივე მხარის შორის და უზრუნველყოფს ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებას. ტყვეების შესახებ დამატებითი შეთანხმების ძალით ყველა სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები განურჩევლად უნდა დაბრუნებულ იქმნეს სამშობლოში.

## უფლება მაქვს მოვითხოვო

მთავრობის დეკრეტის მიხედვით ქართული ენა სახელმწიფო ენათ არის გამოცხადებული, და ეს იმიტომ, რომ საქართველოში ქართველობა უმრავლესობა არის. აქედან ცხადი იყო, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება ქართულად უნდა წარმოებულიყო: ამას მოითხოვდა ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესიც და საზოგადო სოციალისტური სამართლიანობაც.

მაგრამ სამწუხაროდ ყველგან ეს ასე არ ხდება. მაგალითად კომისარიატებში ტელეფონოგრამმა მოდის უმთავრესად რუსულ ენაზე. ხელს კი აწერენ როგორც დაბალი თანამდებობის, აგრეთვე უფრო პასუხისმგებელნი მოსამსახურენი და რაც საყურადღებოა ქართველი მოსამსახურენი მე-8-ე სამილიციო უბანში პირველად ქართულად გვქონდა სადარაჯოების დღიური, ახლა კი გამოგვიკიდეს რუსულ ენაზე დაწერილი.

ეს კი გამასხარავება იმ დეკრეტის სამართლიანი და სახელმწიფოებრივი აზრისა, რომელიც სარჩულად დაედვა მთავრობის დეკრეტს ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარების დროს. ეს კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო აპარატი ისე ვერ მომარაგებულა, რომ თავისი დისციპლინის რკალში ასე თვითნებურად არ ამოქმედოს თვითეული დაწესებულებანი.

ამიტომ ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სოციალიზმის ბედისა საქართველოში, რადგან სხვა გზით არ წარმოუდგენია სოციალიზმის განხორციელება ქართველ მუშას და გლეხს.

მე როგორც შრომის შვილს, ხელებ გაცვეთილს მუშას უფლებას ვაძლევ თავს მოვითხოვო ვისგანაც ჯერ არს ქართული ენის სისპეტაკით დაცვა რადგან იგი ყველაფერზე უფრო ძვირფასია ჩემთვის და ჩემგვარებისათვის.

ხოჭეველი.

## პროფესიონალურ კავშირების კულტურულ განმანათლებელ კონფერენციაზე

მაისის 22-ს ტფილისში მოხდა ერთი საყურადღებო კონფერენცია. შეიკრიბენ ყველა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების მთავარ გამგეობათა კულტ. განმანათლებელ განყოფილებათა მეთაურები, ყველა ტფილისის კულტურულ უჯრედების წევრებთან ერთად.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები პროფ. კავ. საბჭოს და სახალხ. განათლების წარმომადგენლებისა რუსულ ენაზე. სახელმწიფო ენაზე გადმოთარგმნისათვის ყოველ ცალკე შემთხვევაში საგანგებო შუამდგომლობა უნდა აღეძრა რომელიმე კონფერენციის წევრს.

ეს ფაქტი ყველასათვის აშკარად შეიქნა რეზოლიუციების წარდგენის დროს. კრებას წარედგინა 2 რეზოლიუცია: 1) შარიკიანისა, გაპრანჭულებული ფორმით პოლემიკური შინაარსით; ავტორის გაბედულება იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ხაზგასმით აღნიშნავდა მენშევიკების შემოსვლისას საქართველოს მუშებში კულტურა სრულებით არ იყოო.

რეზოლიუცია წარმოადგენს რუსულს ენაზე და მოისურვეს მიეღებინებიათ კრებისათვის. ამხანაგ აკაკი ფალავას მოთხოვნით პრეზიდიუმი იძულებული გახდა გადაეცა სახელმწიფო ენაზე გადასათარგმნელად.

მთარგმნელმა ქართველმა კომუნისტმა წინდახედულად წინადადება ქართველი მუშების უკულტურობის შესახებ სრულიად გამოუშვა.

მეორე რეზოლიუცია წარადგინა ამხანაგმა ე. ასათიანმა შემდეგის შინაარსის: საქართველოს პროფკავშირების კულტურულ განმანათლებელმა კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენებები პროფ. კავშირების საბჭოს კულტ. განყოფილებისა და სახალხო განათლების კომისარიატის წარმომადგენლებისა—აღიარებს საქართველოში პრო. კავშირებში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის უცხო ძალთა და ქართველი მუშისათვის უცხო, არა სახელმწიფო ენის საშუალებით წარმოებას, რაც არ შეიძლება ხელშემწყობ პირობათ ჩაითვალოს პროლეტარულ კულტურის ასაღორძინებლათ და საჭიროთ სცნობს სასწრაფოთ მოწყობილ იქნას საგანგებო კურსები საქართველოში კულტ.-განმანათლ. ასპარეზზე მომუშავე უცხოელ ინსტრუქტორ ამხანაგებისათვის სახელმწიფო ენის შესასწავლად“

საკმარისი შეიქნა ამ რეზოლიუციის წაკითხვა, რომ გამომჟღავნებულიყო ზოგიერთ „კომუნისტების“ სრული უმეცრება ამ ფრიად ძვირფას, მაგრამ მუდამ გადაუწყვეტელს, ენის საკითხში. ჯერ თავმჯდომარე კომუნისტმა კილოსანიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი რეზოლიუცია სრულებით არ ეწინააღმდეგება პირველს რეზოლიუციას; წინააღმდეგ—იგი თავისთავადაც იგულისხმება“, რომ კომუნისტები ვცდილობთ და მუდამაც ვეცდებით საქართველოში ქართულ სახელმწიფოებრივ ენაზე ვიმუშაოთო. შემდეგ წამოიჭრა ერთი ქართველი კომუნისტი და აღელვებით განაცხადა, ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ გვავიწყდება ქართველი ერის 2,000 წლის კულტურაო და სხვა. ბოლოს კი სრულიად გააფუჭა საქმე სახალხო კომ. პოლიტ. განათლების წარმომადგენელმა რუხაძემ, რომელმაც წარმოდგენილ რეზოლიუციას შოვინისტური უწოდა; ის რომ მივიღოთ ყველა უცხოელი უნდა გავაძევოთ—დასძინა მან.

აზრთა ასეთი არევ დარევის შემდეგ თავმჯდომარე შეეცადა სრულიად მოეხსნა ამხ. ასათიანის რეზოლიუცია და მის ავტორისათვის რეზოლიუციის დასასაბუთებელი სიტყვაც წაერთმია. ამ დროს ამხანაგ აკაკი ფალავას შეაქვს წინადადება: ვინაიდან ამხ. ასათიანის რეზოლიუცია ეხება ისეთს საკითხს რომელიც არაა წამოყენებული ამხ. შარიკიანის რეზოლიუციაში, ხოლო მის დედა აზრს თვით თავმჯდომარე არამც თუ მისაღებათ თავის თავად ნაგულისხმევათაც ცნობს, მიღებულ იქნას ორივე რეზოლიუცია შესათანხმებლად და საერთო რეზოლიუციის გამოსამუშავებლათ.

ამის შემდეგ, მხოლოთ დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ მიეცა სიტყვა ამხანაგ ასათიანს, რომელმაც განაცხადა: მე პროტესტს ვაცხადებ უცხოთ მოძულეობასა და შოვინიზმში მიტანილ ეჭვებს იმ პირებისაგან, რომელთაც მოისურვეს ჩემს გულში ხელის ფათური. ყოველგვარ მზგავსი ეჭვების გასაფანტავად სრულიათ საკმარისია ის რომ შევუერთდები ამხ. ფალავას წინადადებას რეზოლიუციების შეთანხმების შესახებ, რის წინააღმდეგ თუ გულწრფელი იყო თავმჯდომარის სიტყვები, არც ის უნდა წავიდეს.

როდესაც მე ვარდგენდი ამ რეზოლიუციას, მახელმძღვანელებდა მხოლოთ საქმის ინტერესები, მაბარია ერთერთი კავშირის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება და ქართველობისათვის ცუდი სამუშაო პირობების გამო ვერ ვშოულობ შესაფერისად მომზადებულ თანამშრომლებს. სახალხო განათლების პოლიტ. მთავარ მმართველობიდან არ შემიძლია მივიღო ინსტრუქტორები, რადგან მათ არ იციან ქართული ენა [illegible] განმანათლებელი მუშაობა იმ ხალხში, რომელსაც ამხანაგ ქართველ კომუნისტის სიტყვით 2000 წლის კულტურა აქვს სრული უაზრობაა.

რეზოლიუცია რომ მივიღოთ ყველა უცხოელები უნდა გავუშვათო! წინააღმდეგ მაგისა, ჩემი რეზოლიუციით მე მოვითხოვ სწორეთ იმ უცხოელ ამხანაგებისათვის, რომელთაც გულწრფელად სურთ ქართველი ერის სამსახური, გახსნილი იქნას საგანგებო კურსები, რომ სწორედ მათ მიეცესთ საშუალება საქართველოში ნაყოფიერი მუშაობისა.

ამის შემდეგ რუხაძე აცხადებს, მოკლე მომავალში ჩვენ ვხსნით როგორც ქართულს ისე სომხურ და თათრულ სკოლებს და ეს რეზოლიუციაც ზედმეტიაო.

მოინდომეს კიდევ მიფუჩეჩება საკითხის, მაგრამ ამხ. აკაკი ფალავას ხელახალი მოთხოვნილების თანახმად იძულებული გახდენ კენჭი ეყარათ ამხანაგ ასათიანის რეზოლიუციისათვის, რომელმაც შემოიკრიბა ირგვლივ კონფერენციაზე დამსწრე თითქმის ყველა ქართველების 17 ხმა.

შარიკიანის რეზოლიუცია გავიდა რუს-სომეხ ებრაელთა უმეტესობის ბლოკით.

ჩვენ არ გვაკვირვებს რუხაძეების ბრალდებები შოვინიზმში და სხვათა მოძულეობაში—ასეთი ბრალდებები მოგვაგონებენ ჩვენი მოწინააღმდეგე მენშევიკების ახლო წარსულის ბრძოლის მანერას.

ჩვენთვის მხოლოდ გულწრფელად სასინანულოა ზოგიერთ ქართველ კომუნისტების უნებლიე, გულწრფელი შეცდომები, იმ კომუნისტების, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაუთვალისწინებიათ სახელმწიფო ენის მნიშვნელობა.

დამსწრე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი პარ. მთავარი კომიტეტი.

**დაკარგე** ატესტატი მოცემული ტფილისის მთავრობის კომერციულ სასწავლებლიდან 1921 წ. № 279, რომელიც ჩაითვლება გაუქმებულად. გიორგი მიხეილი ძე კახიანი. 1089.

**დაკარგე** კოოპერატივი „მეურნე“ წიგნაკი დარია ჯავახიშვილის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1084.

**დაკარგე** პირადობის მოწმობა და შესასვლელი ბილეთი სახელმწიფო უნივერსიტეტისა დავით ირაკლის ძე თუთბერიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1082.

კვირას, ივნისის 5-ს დღის 12 საათზე
სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის შენობაში (ყოფილი ქართული კლუბი, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5) დანიშნულია ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ტფილისის განყოფილების

**წევრთა საერთო კრება**

ქ. შ. წ. გ. ს. მთავარ საზოგადოების საზოგადო კრებაზე დელეგატების ასარჩევად.
წევრებს ვსთხოვთ დაუყოვნებლივ დაესწრონ.
ქ. შ. წ.-კ. გ. ტფილისის განყოფილების გამგეობა.
1086

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს**
საშუალო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081